

შალვა ნათაძე.

(გარდაიცვალა 24 დეკ. 1912 წ. ზსტამბოლში).

სურათი-სოფლის ტკბილი და მწარე

I
ვინ იქნება ისეთი, რომ დედაბერ მართას მოსახლეობას უკრძალდებოდა არ მიეკითხოს, არ შეჩერდეს ამ, მიდამოს დამამშვენებელ, სახლ-კარის წინ და გულითადად მადლობა არ უძღვნას მის ხელმადლიანს პატრონს!?

მართას მოსახლეობა პაწია გარაკზე გაშენებული და კოხტად, მუდამ სუფთა, გადაჰყურებს სოფლის მომხიბვლელ ქალებს, სადაც თავშეუკავებლად გარბის დაუდევარი, ცელქი მდინარე წყენია!

ყოველთვის შეგჩერდები ხოლმე, როცა შორი-ახლო მომიხიბება გავლა, მართას ეზოსთან და ყურს დაუგდებ მეტად ცოცხალს, აღფრთოვანებულს ქალის ხმას, რომელიც მთის დილის ნიავევით განუწყვეტლად დატყრიალებს მართას ეზოში და მომხიბლავად ახმატკბილებს ამ მშვენიერსა და წარმტაც გორაკს!.. იგი ეკუთვნის ობოლ ცირას, 18 წლის ქალიშვილს, რომელიც დაობლებს შემდეგ მართამ წამოიყვანა თავის სახლში, როგორც ნათესავი და შვილივით აღზარდა!

ცირას ვიცნობ! იგი განთიადის პირველს სხივსა ჰგავს, ცის ტატნობით, მიწაზე დაშვებულს, რომელიც უთვალავ შუქითა ფრქვევითა ჰკრთის და ამომავალის მზის მთელს ძალადიდებას უჩინრად შეიცავს!

შზად ვარ სულ ვუსმინო ცირას ხმას... მაგრამ კულ-ბუთქა ძალლი მურია შემამჩნევს, და ყეფით მომვარდება! რა ავი და მიუკარებელია ეს წყეული მურია!

— არ გაბედო! აქედ წამოდი! — წყრომით შეუტევს ცირა ძალღს და ღობეზე გადმოიხედავს... დამინახავს თუ არა, გავკვირვებით შეჰკვივლებს.

— ღმერთო კი მომკალი! — და მიიმალება. დაჩუმდება.

— გამარჯობა, მეზობელო!.. გამარჯობა ცირა! — მაგრამ ცირა თითქო მიწამ ჩაყლაპა. ხოლო ჩემს ხმაზე სახლიდან მართა გამოიხედავს. მოციხარი სახით, თვალებზე ხელი ჩამოფარებული დღის მკრელ სინათლიდან დასაცავად, გამოვა მართა აივანზე და გამწყრალი ხმით მომმართავს თითქო უცნობი ვიყო და პირველად მხედავდეს!

— რომელი ხარ, რომ იაღონს მიფრთხობ?.. რომელი ხარ, რომ შინაურ ფრინველზე ნადირობ? ძველი არწივი მართა არ გსმენია? ძველს არწივს მართლაც არ იცნობ?.. ჰაააჰ, თუ... ვინ ყოფილა!.. ვერ გიცანი... მოვხუტდი! გამარჯობა... გშვენის შავარდნობა!.. მამაშენის შვილს დაშვენდება, აი!.. მობძანდი! მობძანდი... ძალღის ნუ გეშინია! შენისთანებს არ ერჩის, — მოყვარე ხარ!

თიღისმა ქალია მართა! ქმარი არა ჰყავს, მისი ერთი ვაჟიც ქალაქში სცხოვრობს, მუშაა. მაგრამ ოჯახი ისე აქვს მოწყობილი, მუდამეამ პური და მადლით სავსე, რომ მამაკაცებიანი ოჯახებიც კი შენატრიან მას!

— ჩემი მიმინოც მალე ჩამოფრინდება! იცნობ ხომ ჩემს ანდროს, ქალაქში რომ არის! მოიწერა, ერთს კვირაში მომელოდო! ფულსაც ჩამოვიტან და საჩუქარსაცო! ჩემს იაღონს კაბა და საათი დაჰპირდა!.. მობძანდი, მობძანდი, წაგავითხებ მის წერილს!.. ნასწავლიცაა!.. მეც დაგიგდებ ყურს!.. განა ერთხელ და ორჯელ წამიკითხა ცირამ, მაგრამ მინდა შენც წაიკითხო... კი არ მომწყინდება!

რა კარგია მართა! — ედემია მისი ეზო პაწია სახლიანად, ედემი!.. ხოლო ცირა ამ ედემის ახლად გაფურჩქნელი ვარდია, ჯერ კიდე კოკორ — შერჩენილი — ჯაღო და გრძობა ამა ცხოვრებისა!

II

მართას სახლში დიდი მხიარულებაა! — ეს მეორე დღეა, რაც შვილი ჩამოუვიდა... მეზობლები მიდიან მართასას და ულოცავენ. ანდროს ესაუბრებიან. ამბებს ჰკითხავენ. მართა კი ყველას უმასპინძლებდა. მისი მხიარული და ამაყი ხმა მთელს სოფელში გაისმის.

ჩემის ეზოდანაც ვკვრეტ გამალბებულ მოძრაობას, მომხიარულე მასპინძლებს და სტუმრებს. ჟივილ-ხივილიც კი მესმის...

— რა ბედნიერია მართა! რა შვილი მოსწრებია! თურმე დიდს ფულს შოულობს, შესანიშნავი მუშაა! უთვალავი ძვირფასეულობა ჩამოუტანია!.. ლამაზიცაა შეჩვენებული... — კაცს თვალს მოსკრის! — ამბობს ერთი მეზობელი ქალი. ის მართასას ყოფილა და ახლა ჩვენ გვიზიარებს გზა-და-გზა თავის შთაბეჭდილებას.

მეც გავაღებ ჩემს ქიშკარს და ნელის ნაბიჯით ავყვები ვიწრო გზას მართას სახლისკენ! ეზოში არიან სულ ყველანი, ბებერ ცაცხვის ძირში მოუყრიათ თავი... მართას ვაჟი ანდრო 24—25 წლის კაცია. იგი ზის სკამზე სტუმრებითა და ნათესავებით გარშემორტყმული. მხიარულს სახეზე გაკვირვება ეტყობა. რალაც ბავშვურის თავმომწონეობით ესაუბრება სტუმრებს და პაპიროსს ეწვევა. ახალი თეთრი ახალუხი მეტად შვენის მის შავგვრემანს სახეს...

მართა, დამინახავს თუ არა, მომეგებება. თვალები უბრწყინავს. მისი დედური ამაყობა მშვენიერია, მისი სალამი, სტუმართ მოპყრობა დიდებული.

— მოდი, გაცანი ჩემს ვაჟს!.. ამბავი ჰკითხე, — ქალაქის ამბავი! ყოველიფერი იცის! — მეტყვის მართა, ხელს მომკიდებს და თავის ვაჟისკენ წამიყვანს.



გორის ქალაქის თავი
ზაქარია ქიტიაშვილი

— ჩემი იაღონიც ამიერიდან დატულია! შინაური მიმინო, ხომ იცი, გარეულს შავარდენსაც თავის სამფლობელოდან არაფერს გაატანს! — თითქმის ყურში მეუბნება ჩვეულებრივის ხუმრობით მართა. მეც ხუმრობითვე ვუპასუხებ.

ანდროს ხელს ჩამოვართმევ. ჩამოსვლას ულოცავ. დავსხდებით. ანდრო საუბარს განაგრძობს. იგი ქალაქზე ლაპარაკობს. ხმაზე ემჩნევა, რომ ძალიან ბევრი იცის, მაგრამ ისეთს



ამას წინად სოფ. ტილურტაში (დუშ. მაზ.) მოკლული ბაგრატი ლომიძე და მისი ამხანაგები.

გვეუბნება მხოლოდ, რაც ჩვენი, სოფლელების, გონების მი-საწვდენად მიაჩნია. ამიტომ იგი თავისივე თვალში ჩვენზე გა-ცილებით მალა სდგას... ეს მას ახარებს. აპარტანობა ჰმე-ნის... ხშირად გაიხედავს ხოლმე აივნისკენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთს რასმე იტყვის, რითაც ჩვენს გაკვირვებას, გამოიწვევს.—აივანზე კი იმყოფება ცირა. იგი რალაც საქ-მეს აკეთებს.

ვხედავ, რომ ცირა ერთიანად ანთებულია... მას გულზე ჰკიდია პატარა საათი... ვიცი, ჩვენთან უფრო ახლოს რომ

იყოს, მორცხვობის სიწითლით დაიწვე-ბოდა, რადგანაც იგი თავის საათს „უბრა-ლოდ“ არ უყურებს. საათი მისთვის საჩუ-ქარზე მეტია! და ამ „რალაცას“ კი ცირა დიდის გულმოდგი-ნებით ჰმალავს!.. ისე იმზირება, ისე ფრთხი-ლად უჭირავს თავი, რომ ცხადია, ვისმეს-თან აღაპარაკება, ვი-სმე შეხედდა ამ „რა-ლაცას“ გამოაშკარა-ვებად მიაჩნია!.. რა სიაშოვნებით გაიკრე-ბოდა ცირა ტყედ. მინდვრად! რა სია-მოვნებით მოშორ-დებოდა ახლა ყვე-ლას ზე მარტოდ მარ-ტო დაუდგებდა ყურს

თავის სიხარულს, თავის გულს!.. მაგრამ მისთვის ეს შეუძლე-ბელია!..—ერთი სტუმართაგანი სასმელ წყალს მოითხოვს; მართა ცირას გასძახებს:—წყალი მოიტანეო!..—ვხედავ, მართას ხმაზე ცირა შეკრთა... მისმა ტუჩებმა სთქვეს: „ღმერთო ჩე-მო“-ო!.. საცოდავი ცირა!.. განსაცდელშია!

პატარა ხანი გაივლის, და ცირაც წამოვა ჩვენსკენ. ერთ ხელში ჰქია უჭირავს, მეორეში კი პატარა დოქი. თვალებს ვერ ახელს, თავისუფლად ნაბიჯს ვერ ადგამს! ჰსურს სახე შე-იკრას, მაგრამ უღიმის სახე, არ ემორჩილება! ფეთქს, კრთის ცირა!.. პატარა საათი უბეში დაუმალავს,—ძეწკვი და სჩანს. მაგრამ საათი მაინც აღელვებს მის გულმკერდს, თითონ მას აწითლებს, ამორცხვებს. ცირას ჰგონია, რომ ყველანი მიუხვდე-ბიან იმ „რალაცას“, რის დაფარვასაც ასე სცდილობს. თითქო განგებ, როგორც კი მოგვიანლოვდა ცირა, ანდრომ ლაპარა-კი შესწყვიტა, დანარჩენებიც დაჩუმდნენ.

— შეხედე, გენაცვალე, ცირა რა ბედნიერია!—საათი აქვს!—ყურში ჩამიურჩულეს მართა და გატაცებით შეხვდავს თავის იადონს...

III

თვე გადის... მართას ეზო კვლავ მოციხარი გადმოჰყუ-რებს სოფელს!.. ანდრო, რაც დრო გადის, უფრო და უფრო

ჰზიბლავს მეზობლებს, რომლებსაც იგი ხშირად ესაუბრება. ამბობენ, ძალიან უყვარს სოფელი და მის საკეთილდღეოდ უცემს გულიო... მე ოჯახური საქმე მაიძულებს ერთი კვირით ბიძა-ჩემისას წავიდე. იგი 30 ვერ. მანძილზე სცხოვრობს ჩვენ-გან. ავად გამხდარა ბიძა, და მის მაგიერ მე უნდა ვაწარმოვო ჩვენი საერთო საქმე, რომელიც ეხება ჯერ კიდევ გაუყოფელ ტყეს. გულით არ მინდა ამ ჟამად წასვლა ასე შორს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი გულის სურვილს, ცხოვრება ხშირად სთელავს...

ჰე! ეს ცხოვრება!.. რაღა ახლა გახდა ავად ბიძაჩემი!?

ნასაუზმევს ვკაზმავ ცხენს და გზას გაუდგები!..


მართას გორაკს რომ აუვლი, იქვე სათხილედან ცირას ხმა მომესმის. ცირა მდერის, მაგრამ...

— „ნუ თუ ეს ცირაა?“—გავიფიქრებ... ისეთი კილო მეს-მის ყურში, რომ ცხენს შევაჩერებ და სმენად ვიქცევი... ისე თამამად, მოურიდებლად მდერის ცირა, რომ ცხადია, მას არ ესმის თავისი ხმა! აღბად ჰგონია, მისი ხმა ისეთივეა, რაც ამ ერთი თვის წინად იყო!.. სწორეა, ცირას არ ესმის თავისი ხმა და ამიტომაც მალა და მალა ასწევს. მე კი მესმის ცხოვ-რების ის უუმშვენიერესი ჰიმნი, რომელშიაც მელავნდება ლტოლვა ყოველის სულისა, უძლიერესი სწრაფვა ყოველის სულდგმულისა!.. მე მესმის უღიადესი ჰანგი, რომელსაც კი ადგილი აქვს ბუნებაში, უულამაზესი ჟღერა გულისა... მე მეს-მის მთელი აზრი და შნო ცხოვრებისა!

— „ვაიმე, ცირა!.. ცირა!.. ვინ დაუკაკუნა შენი გულის კარს? ასეთს ჰანგზე ვინ მომართა შენი არსების პირველი სი-მი?.. ვის უყავი, ვის ეძახი, ცირა?!“

— ცირა! ცირა!—მესმის ანდროს თამამი, ბედნიერი ხმა. ის აივნიდან ეძა-ხის ცირას... სიმღერა შეწყდება... სიჩუმე ჩამოვარდება...

ქართული მუზეუმი



ქართულ საენთოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ერთი კუთხე.

უძრავად ვზივარ უნაგირზე. დამავიწყ-და, რომ გზა წინ მიდევს... ჩემი ცხე-ნი რამდენიმეჯერ სცქვეტს ყურებს, თავს ჩაიქნევს.. კვლავ სცქვეტს ყურებს და, რა დარწმუნდება, რომ არა ისმის-რა თავისივე ნებით აიდ-ვამს ფეხს...

დაუსრულებელი შარა გველოვით გაკ-ლაკნულა ჩემ წინ... მარჯვნივ თვალუწ-დომელი მინდვრები ბიბინებს... მარცხნივ თავქარიანი მალ-ლობები დუმილით

დამყურებენ!.. ჩემში კი ცირა მდერის ცხოვრების უუმშვენი-ერეს ჰიმნს...

IV

ბიძაჩემი ძალიან კარგი კაცია, მაგრამ ტყუილები იცის. ეს უფრო გულკეთილობით მოსდის, ვიდრე სხვა რაიმე მოსა-ზრებით, რომ ასიაშოვნოს ვისმე, გასახარს რასმე ტყუილს ეტ-ყვის. მე რომ ჩავედი, გრძელ პირსახოცი თავშებვეული და კაბის ერთი კალთა მხარზე გადადებული დასეირნობდა აი-ვანზე. სახე ნააჟადმყოფარი ჰქონდა და ხშირად კვენსოლა, მითხრა:

— აი, შენც ჩამოდი!.. კარგია, რომ მომისწარი!.. აღბად, მალე მოგკვდები სადაც არის და... არა თუ ის ოხერი ტყე, არამედ მთელი ჩემი სახლ-კარი და ქონება შენ დავარჩება!.. ახლავე შეეჩვიე, შეილო, საქმეს!.. აკი ამიტომაც არ მინდა ტყის გაყოფაც!.. ასე, მაშ, ჩემო იულიან, საქმე ბევრი გექნე-ბა და შენ იცი და შენმა ღმერთმა!.. შეილი არ მომცა ღმერ-თმა, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ მისი, რომ შენისთანა ვა-ეი შესძინა ჩვენს გვარს!..

ბიძაჩემი ორმოცი წლის კაცია. ჯანმთელი და ღონიერი. ვინ იფიქრებს, რომ ის კიდევ ორმოცს არ გასძლებს! თითო-ნაც დარწმუნებულია, მაგრამ... საჭირო იყო ასე ელაპარაკა

ჩემთან, რადგანაც შორიდან დამიბარა და ჩემი ოჯახის საქმეებს მამაციდინა... პასუხად გაუღიმე მხოლოდ და უნდობლად შეიხედე.

— დამიჯერე, ბიძი, მართლა უქეიფოდ ვარ და თანაც მომწყინდა ძალიან!.. ტყის საქმე კარგად მიდის, მხოლოდ ერთი ხელშეკრულობაა მისაღები და... უშენოდ ვერ გავხედდე!.. ა?.. რა ვიცი, იქნება, გწყენოდა, შენთვის რომ... რჩევა არ მეკითხა!..— ბიძას ტკბილი ხმა აქვს და თანაც ისე იცის ლაპარაკი, რომ არ აწყენიებს კაცს.

— უსათუოდ მეწყინებოდა, ბიძაჩემო!.. ხეხე!— ვუპასუხე ბიძას ამ უკანასკნელ ოინზე.

— რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! ყოველმა კაცმა თავისი საქმე უნდა იკოდეს და...— ბიძამ თვალები ცბიერად დახუჭა და შეუმჩნეველი ირონიით ააციმციმა ტუჩები!— თვითონ უნდა უძლოდეს თავის საქმეს!.. ყოჩაღ, ბიძი! ყოჩაღ, ჩემო იულიონ!— მეფერებოდა იგი, რადგანაც ერთი კვირით დასვენება მოელოდა.

... მთელი ერთი კვირა ტყის საქმეში ვიყავი გარდაუდებული. ბიძა კი კაბის კალთა მხარზე გადადებული და თავშეკრული დასეირნობდა. რამდენიმეჯერ ტყისკენაც გაისეირნა. ორსამჯერ განთიადს დასწრო და სანადიროდაც წავიდა. არ გაუცუდებია... საღამოობით, ნავახშეგეს, ნარდს მეთამაშებოდა... ერთი კვირის შემდეგ თავის ხელით შემიკაზმა ცხენი, მადლობა მითხრა და გამომისტუმრა.

— რომ დავიბარო, დაუყოვნებლივ წამოდი, იულიონ, თორემ დავბერდი და საქმეს ვერ ვაწესრიგებ! იკოდე, ჩემი მემკვიდრეც ხარ და შვილიც!

ჩვენს წინაპრებში, ალბად ვინმე ღიღი ღიღობდა იქნებოდა, თორემ ბიძაჩემს საიდან გამოჰყვებოდა ასეთი ნიჭი?

როგორც კი დავშორდი ბიძას ეზოს ტოტა მანძილი გავიარე, არ ვიცი რატომ და საიდან, ცირას ხმის ის კილო, რომელიც მომყვებოდა აქეთობას მთელი გზის განმავლობაში, უფრო ჩამიფრინდა, თითქო გზაზე მიცდიდა მთელს ექვს დღეს, და მთელის არსებით დამატყვევა. რალაც წინაგზობაში გამკრა და დამალონა, გული დამწყვიტა.

— აჰუ!— დავძახე ცხენს, რომელმაც ის იყო წაიბორკა და ძალზე დაფრუტუნა ცხვირი... წინ ისევ... ის გზა... მინდორქალები, მთა-გორაკები!.. ჩემში კი კვლავ ცირას ხმა... კვლავ ეს ცხოვრების დაუვიწყარი სიმფონია!..

V

გული აჩქარებით მიცემდა, როცა მართას ეზოს დაუახლოვდი. ყოველ წუთში მოგელოდი ცირას ხმის გაგონებას. ვფიქრობდი, ნეტავი, როგორი იქნებოდა ცირას ხმა ერთი კვირის შემდეგ... ცხენი ნელის ნაზიჯით მიმყავდა... მაგრამ ცირას ხმა არ ისმოდა. მართას კარმიდამო რალაც სიჩუმეს, არა ჩვეულ ყრუ სიჩუმეს, მოეცვა... იმ ადგილას, სადაც ჩემი გზა თითქმის ეკვრებოდა ეზოს ღობეს, შეეჩერდი და ცხენიდან ეზოში გადავიხედე... ბებერი ცაცხვი უძრავად იდგა, ტოტები ძირს დაეშვა და მძიმე, მწარე ფიქრში წასულრიყო... სახლის როგორც კარები, ისე ფანჯრებიც ჩაკლიტული იყო, და მთელი ეს მხიარული, მოცინარი მოსახლეობა სიცოცხლის ნიშან-წყალს მოკლებულიყო.

— ღმერთო ჩემო! ეს რას უნდა ნიშნავდეს?— ვსთქვი.

— ჰეი, მაინტელო!— დავიძახე. საიდანაც, ეზოს უკანა ნაწილიდან მურას ნაცნობი ხმა მომესმა ორ-სამჯერ დაიყვინძა და კვლავ დაჩუქდა. იგი ჩვეულებრივად არც კი წამოსულა ჩემსკენ და არ შეუტევია... კაცთაგანს კი არავის გაუცია ხმა... შევშინდი. მოგვბრუნე ცხენი და გამალღობით დავეშვი ჩემი სახლისკენ... როგორც კი ჩამოვხტი ცხენიდან, ვიკითხე:

— რა ამბავია მართასას მეთქი? — შენს ბტერს იმისთანა, მართას რომ უბედურება დაატყდა!..— მომიგო მაშიდაჩემმა.— ანდრომ, დედის იმედმა და

საქებმა შეიღმა, შენ რომ ბიძასს გაემგზავრე იმ დღეს, საღამო ჟამს, მოიტაცა ცირა... მაშ, მოიტაცა!.. მოიტაცა და ქალაქში წაიყვანა! დედას კი მეზობლის ხელით ბარათი შემოუგზავნა: არ დამწყველო, დედა, სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავიო!

— მერე? — მერე რა?.. ისინი ქალაქში სცხოვრობენ ალბად, და საცოდავი მართა კი...

— ჰო, მართა სად არის? — სახლშია, მაგრამ ვაი იმისთანა ყოფას!.. აზრ დაკარგულია!.. ჩაიკეტა თავი, არავის იკარებს, არავის ხმას გასცემს, თითქო ენა ჩაუვარდაო!.. ლამის მოკვდეს ჯავრისაგან, ან კკუ-ახე შესცდეს!.. ეს რა ცოდვა ეწვია ჩემს ოჯახსაო“, ჩურჩულებს საცოდავი და კედელზე თავს არტყავს!

ცხენი იქვე აივნის სვეტზე ლაგამით მივაბი, და დაუყოვნებლივ წავედი მართასთან... მის ეზოს კარები რომ გავაღე, მურამ შემომყვია ხანტად, მერე წამოვიდა ჩემსკენ ყუფით და ღრნით. მე მას უურადღება არ მივაქციე. ხოლო სახლის კიბეზე კი შემაჩერა ძალღმა.— გეყოფა, აქეთ არ, გაგიშვებო!

გადაჭრით მეუბნებოდა მურა. მაშინ მათრახით დავემუქრე. მურამ იწყინა, ძველებურის სიმარდით დატრიალდა იგი... ქაღალის ხმაზე მართამ გამოალო სახლის კარი, გამოჰყო თავი და მრისხანედ მკითხა:

— რომელი ხარ?— მის ხმაზე მურამ დაიხია, თუმცა მართას მისთვის არ დაუშლია.

— მე ვარ, მართა, მე!.. შენთან საქმე მაქვს!..

— ვინ?— შუბლის შეკვრით და ყრულ დამეკითხა კარებ შუა გაჩერებული მართა.

— მე... იულიონ... განა ვერ მცნობ?

— იულიონ!.. ჰმ... რა გნებავს?.. მობძანდი...

ავედი აივანზე. მართამ კარი გამოიღო.

— სად არიან ახალგაზდები, მართა?— შესვლისას ვკითხე მართას და სახეზე შევხედე.

ჩემ წინ იდგა [დალეული მოხუცი, მიმქრალ, ღრმად ჩაცვივრულ თვალებით. მის გაყინულ სახეს რალაც ცივი, მიუკარებელი გამომეტყველება ჰქონდა... ვერაფერს გარკვეულს ვერ შეამჩნევდი, ვერაფერს ამოიკითხავდი მართას სახეზე; ხორც-გამოლეული კანი ნაოქ-ნაოქად მიჰკროდა სახის ძეაღს, მსხვილად და

ღრმად დაღღრა მიწისფერი მისი სახეგრება!

— რომელი ახალგაზდები?— მკვდარის ლანდის ჩამწყდარი ხმით შემომიბრუნა მართამ კითხვა.

— ცირა, ანდრო?... მართლა ქალაქს წავიდნენ.. მართლა... — ყოველმა კაცმა იცის ეს... მეზობლო, და რატომ მკითხავ, როცა შენც გცოდნია!..? არაფერია მაინცა და მაინც!.. რაში გეკითხებათ?.. უარესიც მოხდება ხოლმე!.. ა?.. უარესიც!.. უკაცრავად, დაბძანდი!..

სკამზე დავეშვი. მართას თვალებ დაღებულ მიგჩერებოდი. ხმა ვერ ამომელო... მართაც დიდხანს იდგა ჩემ წინ ხმა ამოუღებლივ, შეუტყველი სახით, მიუკარებელი და ცივი ხმა-განომეტყველებით...


— მერე ქალაქში ყოფილ ხარ შენ?— უცებ მკითხა მართამ.

— ქალაქში?.. როგორ არა!.. კი ვყოფილვარ!— ვუპასუხე.

— ჰმ... რალაც მისტიური შიში ჩაესხა მართას თვალებში.— ყოფილხარ?.. ჩვენების სცხოვრობენ, თუ იცი, იქ, ჩვენები?! — როგორ არა, მართა!.. ბებერი, ძალიან ბებერი! — ჩემს პასუხზე მართამ რამდენჯერმე ჩააქნია თავი... თვალები დახუჭა და აკანკალებული მარჯვენა ხელი პირჯვარის დასაწვრად შუბლზე მიიტანა... ერთმანეთზე დაკრულ წამწამთა შორის დამშრალი ცრემლის ობოლმა წვეთმა გაუბრკვევიალა!..

ქ. შენგვა.

ლექსი ქაჩიელი.



ეს მაინჯი ბავშვი დარბადა შემხანში: (ლანდის ოჯახში) სხვა სიმხინჯის გარდა ენა სასაზე ჰქონდა მიკრული. ექიმებს ხელოვნურად უწოვბათ ერთ თვეს, შემდეგ კი გარდაცვლილა.